

ახალი თავი 19 (ელექტრონული კომერცია)

თავი 19

ელექტრონული კომერცია

მუხლი 19.1 განმარტებები

ამ თავის მიზნებისათვის:

ელექტრონული დადასტურება ნიშნავს ელექტრონულ პროცესს ან მოქმედებას, რომელიც უზრუნველყოფს ნამდვილობისა და საიმედოობის დადასტურებას ელექტრონულ ხელმოწერაში მონაწილე მხარეებისთვის, რათა უზრუნველყოს ელექტრონული კომუნიკაციის ან გარიგების სანდოობა და უსაფრთხოება;

ელექტრონული ხელმოწერა ნიშნავს მონაცემებს ელექტრონული ფორმით, რომელიც არის, ერთვის ან ლოგიკურად უკავშირდება მონაცემთა შეტყობინებას და რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას ხელმოწერის ვინაობის დასადგენად მონაცემთა შეტყობინებასთან მიმართებაში და ხელმოწერის თანხმობის მისათითებლად მონაცემთა შეტყობინებაში მოცემულ ინფორმაციაზე⁶;

მონაცემთა შეტყობინება ნიშნავს ელექტრონული ოპტიკური ან მსგავსი საშუალებებით შექმნილ, გაგზავნილ, მიღებულ ან შენახულ ინფორმაციას;

ფინანსური ტექნოლოგია ნიშნავს ტექნოლოგიის გამოყენებას ფინანსური მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებისა და ავტომატიზაციისთვის;

კომერციული ელექტრონული შეტყობინება ნიშნავს ელექტრონულ შეტყობინებას, რომელიც კომერციული მიზნებისთვის იგზავნება პირის ელექტრონულ მისამართზე⁷ სატელეკომუნიკაციო მომსახურების საშუალებით, რომელიც მოიცავს სულ მცირე ელექტრონულ ფოსტას და სხვა სახის ელექტრონულ შეტყობინებებს, რამდენადაც

⁶ ამ თავის მიზნებისათვის, ფინანსურ სექტორში და მასთან მიმართებით გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერები, ასევე ეროვნული მარეგულირებელი ორგანოს მიერ გამოყენებული ელექტრონული ხელმოწერები, უნდა შეესაბამებოდეს შესაბამის მოქმედ შიდა სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას.
⁷ მეტი სიგზადისთვის, „პირის ელექტრონული მისამართი“ არ მოიცავს IP მისამართს.

გათვალისწინებულია მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით; და არასასურველი კომერციული ელექტრონული შეტყობინება ნიშნავს კომერციულ ელექტრონულ შეტყობინებას, რომელიც იგზავნება მიმღების თანხმობის გარეშე ან მიმღების აშკარა უარის მიუხედავად;

პერსონალური მონაცემები ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას იდენტიფიცირებული ან იდენტიფიცირებადი ფიზიკური პირის შესახებ;

ელექტრონული გადაცემა ნიშნავს გადაცემას, რომელიც ხორციელდება ნებისმიერი ელექტრომაგნიტური საშუალების გამოყენებით და მოიცავს გადაცემის შინაარსს;

ელექტრონული გადახდა ნიშნავს გადამხდელის მიერ ფულადი მოთხოვნის გადაცემას მიმღებისთვის მისაღებ პირზე და ხორციელდება ელექტრონული საშუალებით, ცენტრალური ბანკის საგადახდო მომსახურების გამოკლებით, რომელიც მოიცავს ფინანსური მომსახურების მიწოდებლებს შორის ანგარიშსწორებას;⁸

მუხლი 19.2 - ზოგადი დებულებები

1. მხარეები აღიარებენ ელექტრონული კომერციით გათვალისწინებულ ეკონომიკურ ზრდას და შესაძლებლობებს, ასევე იმ მექანიზმების მნიშვნელობას, რომლებიც ხელს უწყობენ მომხმარებელთა ნდობის გაძლიერებას ელექტრონული ვაჭრობის მიმართ და მისი გამოყენებისა და განვითარებისთვის ზედმეტი ბარიერების აღმოფხვრას.
2. ამ თავის მიზნებია მხარეებს შორის ელექტრონული ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობა და ელექტრონული ვაჭრობის ფართო გამოყენება მთელ მსოფლიოში.
3. მხარეები, პრინციპში, ცდილობენ უზრუნველყონ, რომ ელექტრონული ვაჭრობის სფეროში ორმხრივი ვაჭრობა არ იყოს უფრო შეზღუდული, ვიდრე შედარებადი არაელექტრონული ორმხრივი ვაჭრობა.

⁸ მეტი სიცხადისთვის, ეს მუხლი არ ავალდებულებს მხარეს მისცეს მეორე მხარის ელექტრონული საგადახდო მომსახურების მიწოდებლებს, რომლებიც არ არიან დაფუძნებული მის ტერიტორიაზე, წვდომა ცენტრალური ბანკის საგადახდო მომსახურებაზე, რომელიც მოიცავს ფინანსური მომსახურების მიწოდებლებს შორის ანგარიშსწორებას.

4. ეს თავი ეხება მხარის მიერ მიღებულ ან მხარდაჭერილ ზომებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ელექტრონულ კომერციაზე.

5. ეს თავი არ ეხება:

(a) სახელმწიფო შესყიდვებს; ან

(b) გარდა მუხლი 19.10-ისა (ღია სამთავრობო მონაცემები), მხარის მიერ ან მის სახელით შენახულ ან დამუშავებულ ინფორმაციას ან ამ ინფორმაციასთან დაკავშირებულ ზომებს, მათ შორის მის შეგროვებასთან დაკავშირებულ ზომებს.

6. უფრო მეტი სიცხადისთვის, მხარეები ადასტურებენ, რომ ელექტრონულად გაწეული ან შესრულებული მომსახურების მიწოდებაზე მოქმედი ზომები რეგულირდება მე-8 თავის (მომსახურებით ვაჭრობა) და მე-8-A დანართის (ფინანსური მომსახურება) შესაბამის დებულებებში მოცემული ვალდებულებებით, მათ შორის ამ შეთანხმებით დადგენილი ნებისმიერი გამონაკლისის ან შეზღუდვის ჩათვლით, რომელიც ვრცელდება ამ ვალდებულებებზე.

7. მუხლი 19.12 (ელექტრონული გადახდები) არ ვრცელდება მხარის ზომების ფორმებზე, რომლებიც არ შეესაბამება მე-8 თავით გათვალისწინებულ ვალდებულებებს (მომსახურებით ვაჭრობა) იმდენად, რამდენადაც ასეთი ზომები მიღებულია ან მხარდაჭერილია:

(a) ნებისმიერი პირობის, შეზღუდვის, დათქმებისა და დებულებების შესაბამისად, რომლებიც მითითებულია მხარის ვალდებულებებში, ან ეხება სექტორს, რომელიც არ ექვემდებარება მხარის მიერ 8.3 მუხლის შესაბამისად აღებულ ვალდებულებებს (სპეციფიური ვალდებულებების ცხრილი); ან

(b) ნებისმიერი გამონაკლისის შესაბამისად, რომელიც გამოიყენება მე-8 თავში (მომსახურებით ვაჭრობა) მოცემულ ვალდებულებებზე.

8. ამ შეთანხმების ნებისმიერ სხვა თავში მოცემულ უფლებებსა და ვალდებულებებთან რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა ენიჭება სხვა თავს.

მუხლი 19.3 - საბაჟო გადასახადები

1. თითოეული მხარე აგრძელებს მოქმედ პრაქტიკას მხარეებს შორის ელექტრონულ გადაცემებზე საბაჟო გადასახადების არგამოყენების შესახებ.
2. 1-ელ პუნქტში მითითებული პრაქტიკა შეესაბამება ვმო-ს მინისტრიალის გადაწყვეტილებას ელექტრონული ვაჭრობის სამუშაო პროგრამის შესახებ (WT/MIN(24)/38), რომელიც მიღებულია 2024 წლის 2 მარტს.
3. თითოეულ მხარეს შეუძლია შეცვალოს თავისი პრაქტიკა, რომელიც მითითებულია 1-ელ პუნქტში, ვმო-ს მინისტრიალის ნებისმიერი შემდგომი გადაწყვეტილების გათვალისწინებით ელექტრონული გადაცემების საბაჟო გადასახადების შესახებ ელექტრონული ვაჭრობის სამუშაო პროგრამის ფარგლებში.
4. მხარეები გადახედავენ ამ მუხლს, ელექტრონული ვაჭრობის შესახებ სამუშაო პროგრამასთან დაკავშირებით, ვმო-ს მინისტრიალის ნებისმიერი შემდგომი გადაწყვეტილების გათვალისწინებით.
5. უფრო მეტი სიცხადისთვის, 1-4 პუნქტები ხელს არ უშლის მხარეს ელექტრონული გადაცემებისთვის შიდა გადასახადების, მოსაკრებლების ან სხვა გადასახადების დაწესებაში, იმ პირობით, რომ ასეთი შიდა გადასახადები, მოსაკრებლები ან გადასახადები შეესაბამება ამ შეთანხმებას.

მუხლი 19.4 - შიდა ელექტრონული ტრანზაქციების ჩარჩო

1. რამდენადაც განხორციელდება, თითოეული მხარის დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის პატივისცემით, ორივე მხარე უნდა შეეცადოს შეინარჩუნოს ელექტრონული ოპერაციების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც შესაბამისობაშია ელექტრონული ვაჭრობის შესახებ 1996 წლის UNCITRAL მოდელის კანონის ან „საერთაშორისო კონტრაქტებში ელექტრონული კომუნიკაციების გამოყენების შესახებ“ გაეროს კონვენციის პრინციპებთან, მიღებული ნიუ-იორკში 2005 წლის 23 ნოემბერს და საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინოს სხვა შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტები.

2. თითოეული მხარე უნდა შეეცადოს:

(a) თავიდან აიცილოს ელექტრონული ტრანზაქციების ზედმეტი მარეგულირებელი ტვირთი;
და

(b) ხელი შეუწყოს დაინტერესებული მხარეების მონაწილეობას ელექტრონული ვაჭრობის სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებაში.

მუხლი 19.5 - ელექტრონული დადასტურება და ელექტრონული ხელმოწერები

1. გარდა საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა, მხარეს არ შეუძლია უარყოს ელექტრონული ხელმოწერის მტკიცებულებად გამოყენების იურიდიული მნიშვნელობა, იურიდიული ძალა ან დაშვება სასამართლო პროცესებში მხოლოდ იმ მოტივით, რომ ხელმოწერა წარმოდგენილია ელექტრონული ფორმით.

2. არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება მიიღოს ან გაატაროს ზომები, რომლებიც:

(a) უკრძალავს ელექტრონული გარიგების მხარეებს ერთობლივად განსაზღვრონ გარიგების შესაბამისი ელექტრონული ავტორიზაციის მეთოდი ან ელექტრონული ხელმოწერა; ან

(b) ხელს შეუშლის ელექტრონული გარიგების მხარეებს, რომ დაუმტკიცონ სასამართლო ან ადმინისტრაციულ ორგანოებს, რომ მათი გარიგება შეესაბამება ნებისმიერ სამართლებრივ მოთხოვნას ელექტრონული დადასტურების ან ელექტრონული ხელმოწერების შესახებ.

3. მე-2 პუნქტის დებულებების მიუხედავად, მხარემ შეიძლება მოითხოვოს, რომ გარკვეული კატეგორიის გარიგებებისთვის დადასტურების მეთოდი ან ელექტრონული ხელმოწერა შესაბამისობაში იყოს შესრულების გარკვეულ სტანდარტებთან ან დამოწმებული იყოს აკრედიტებული ორგანოს მიერ მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

4. იმდენად, რამდენადაც გათვალისწინებულია საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობით, თითოეული მხარე იყენებს 1-3 პუნქტებს ელექტრონულ ბეჭდებზე,

დროის ელექტრონულ ნიშნებსა და რეგისტრირებული მიწოდების ელექტრონულ სერვისებზე.

5. მხარეები ხელს უწყობენ ურთიერთ თავსებადი ელექტრონული დადასტურების გამოყენებას.

მუხლი 19.6 - მომხმარებელთა უფლებების დაცვა ინტერნეტ სივრცეში

1. მხარეები აღიარებენ გამჭვირვალე და ეფექტური ზომების მნიშვნელობას, რათა დაიცვან მომხმარებლები შეცდომაში შემყვანი ან დამაბნეველი ქმედებებისგან თავიანთი ელექტრონულ ვაჭრობის განხორციელებისას.

2. ამ მუხლის მიზნებისთვის, „შეცდომაში შემყვანი ან დამაბნეველი ქმედებები“ მოიცავს:

(a) ცრუ ინფორმაციის ან ცრუ განცხადებების მიწოდებას არსებითი თვისებების, ფასის, ვარგისიანობის კონკრეტული მიზნისთვის, საქონლის ან მომსახურების რაოდენობის ან წარმოშობის შესახებ;

(b) საქონლის ან მომსახურების მიწოდების მიზნით რეკლამირებას მიწოდების განზრახვის გარეშე;

(c) მომხმარებლებისათვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების შეუძლებლობას მას შემდეგ, რაც ისინი თანხას გადაიხდიან; ან

(d) ფინანსური, სატელეფონო ან სხვა სამომხმარებლო ანგარიშებიდან თანხების არასანქცირებული გადახდევინებას ან დებეტირებას.

3. მხარეები აღიარებენ შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის მიღების/გატარებისა და აღსრულების მნიშვნელოვნებას, რათა აიკრძალოს შეცდომაში შემყვანი ან დამაბნეველი ქცევა, რომელიც იწვევს ელექტრონულ ვაჭრობაში ჩართული მომხმარებლების დაზიანებას ან შეიძლება გამოიწვიოს მათი დაზიანება.

4. მხარეები აღიარებენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეროვნულ ორგანოებსა თუ სხვა შესაბამის ორგანოებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვნებას ტრანსსასაზღვრო

ელექტრონული ვაჭრობის სფეროში, მომხმარებელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების მიზნით.

5. მხარეები აღიარებენ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეროვნულ ორგანოებსა თუ სხვა შესაბამის ორგანოებს შორის თანამშრომლობის მნიშვნელოვნებას, მათ შორის ინფორმაციისა და გამოცდილების გაცვლას, ასევე თანამშრომლობას ორმხრივი დაინტერესების შესაბამის შემთხვევებში და ელექტრონული ვაჭრობის სფეროში მომხმარებელთა უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, რათა გაძლიერდეს მომხმარებელთა დაცვა ელექტრონული ვაჭრობის სფეროში, ორმხრივი შეთანხმების შემთხვევაში.

6. მხარეები აღიარებენ მექანიზმების უპირატესობებს, მათ შორის დავის ალტერნატიული გადაწყვეტის ჩათვლით, რათა ხელი შეუწყონ ელექტრონული ვაჭრობის გარიგებებთან დაკავშირებული პრეტენზიების მოგვარებას.

მუხლი 19.7 - პერსონალური მონაცემების დაცვა

1. მხარეები აღიარებენ ელექტრონული ვაჭრობის მომხმარებლების პერსონალური მონაცემების დაცვის ეკონომიკურ და სოციალურ სარგებელს და მის წვლილს ელექტრონული ვაჭრობის მიმართ მომხმარებელთა ნდობის განმტკიცებაში.

2. ამ მიზნით, თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს ან უზრუნველყოს სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც უზრუნველყოფს ელექტრონული ვაჭრობის მომხმარებლების პერსონალური მონაცემების დაცვას. პერსონალური მონაცემების დაცვის სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებისას თითოეული მხარე ითვალისწინებს შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების პრინციპებსა და რეკომენდაციებს⁹.

⁹ მეტი სიცხადისთვის, მხარეს შეუძლია შეასრულოს ამ პუნქტში მოცემული ვალდებულება ისეთი ზომების მიღებით ან შენარჩუნებით, როგორცაა კონფიდენციალურობის ან პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ყოვლისმომცველი კანონები, სექტორული კანონები, რომლებიც მოიცავს კონფიდენციალურობას, ან კანონები, რომლებიც ითვალისწინებს საწარმოების მიერ კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული ნებაყოფლობითი ვალდებულებების აღსრულებას.

3. თითოეული მხარე ცდილობს გამოიყენოს არადისკრიმინაციული მეთოდები, რათა დაიცვას ელექტრონული ვაჭრობის მომხმარებლები პერსონალური მონაცემების დაცვის დარღვევისგან, რომელიც ხდება მისი იურისდიქციის ფარგლებში.

4. თითოეულმა მხარემ უნდა გამოაქვეყნოს ინფორმაცია პერსონალური მონაცემების დაცვის ზომების შესახებ, რომელსაც ის ელექტრონული ვაჭრობის მომხმარებლებს აწვდის, მათ შორის ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ:

(a) შეუძლიათ ფიზიკურ პირებს გამოიყენონ სამართლებრივი დაცვის საშუალებები; და

(b) შეუძლია ბიზნესს შეასრულოს ნებისმიერი სამართლებრივი მოთხოვნა პერსონალური მონაცემების დაცვასთან დაკავშირებით.

მუხლი 19.8 - არასასურველი კომერციული ელექტრონული კომუნიკაციები

1. თითოეულმა მხარემ უნდა მიიღოს ან უზრუნველყოს ზომები ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილი არასასურველი კომერციული ელექტრონული შეტყობინებების მიმართ, რომელიც:

(a) მოითხოვს არასასურველი კომერციული ელექტრონული შეტყობინებების მიმწოდებლებისგან დაეხმარონ მიმღებებს ამ შეტყობინებების შემდგომი მიღების თავიდან აცილებაში;

(b) მოითხოვს მიმღებთა თანხმობას მიიღონ კომერციული ელექტრონული შეტყობინებები, როგორც ეს მითითებულია თითოეული მხარის შიდასახელმწიფოებრივი კანონდებლობაში; ან

(c) სხვაგვარად უზრუნველყოფს არასასურველი კომერციული ელექტრონული შეტყობინებების მინიმალურ რაოდენობამდე დაყვანას.¹⁰

¹⁰ აღნიშნული ალტერნატივა (როგორც ზემოთ მოცემული (a) და (b) ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სტანდარტების ალტერნატივა) არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, რომელშიც კომერციული ელექტრონული შეტყობინება შეიცავს/ ეხება/ მოიცავს ან რაიმე სხვა კუთხით უკავშირდება ფინანსურ მომსახურებას ან პროდუქტს (როგორც განმარტებულია შესაბამისი შიდასახელმწიფოებრივი კანონდებლობით). მსგავსი შეტყობინებები სრულად

2. თითოეული მხარე ვალდებულია უზრუნველყოს სარეკომენდაციო ღონისძიებების გატარება არასასურველი კომერციული ელექტრონული შეტყობინებების მიმწოდებლის წინააღმდეგ, რომელიც არ შეესაბამება პუნქტი 1-ის შესაბამისად მიღებულ ან უზრუნველყოფილ ზომებს.

3. მხარეები შეეცდებიან ითანამშრომლონ, ურთიერთშეთანხმების შესაბამის შემთხვევებში, არასასურველი კომერციული ელექტრონული შეტყობინებების რეგულირებაში.

მუხლი 19.9 - უქალაქო ვაჭრობა

1. თითოეული მხარე უნდა შეეცადოს უზრუნველყოს საჯარო წედომა ვაჭრობის ადმინისტრირების დოკუმენტებზე ელექტრონული ფორმით.

2. თითოეული მხარე უნდა შეეცადოს მიიღოს ვაჭრობის ადმინისტრირების დოკუმენტების ელექტრონული ვერსია, როგორც დოკუმენტების ქალაქის ვერსიის სამართლებრივი ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც:

(a) არსებობს სხვა ეროვნული ან საერთაშორისო სამართლებრივი მოთხოვნით; ან

(b) კომპეტენტური ორგანოები საჭიროებენ ქალაქის ვერსიას ადმინისტრაციული პროცესის მთლიანობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 19.10 - ღია სამთავრობო მონაცემები

1. ეს მუხლი ეხება მხარის მიერ მიღებულ ან მხარდაჭერილ ზომებს მის ცენტრალურ მთავრობაში შენახულ მონაცემებთან დაკავშირებით, რომელთა გამჟღავნება არ შემოიფარგლება მისი კანონმდებლობით და რომლის საჯარო ხელმისაწვდომობასა და გამოყენებას ეს მხარე უზრუნველყოფს ციფრული ფორმით (შემდგომში „სამთავრობო მონაცემები“).

უნდა შეესაბამებოდეს (a) და (b) ქვეპუნქტებით განსაზღვრულ სტანდარტებს.

2. მხარეები აღიარებენ, რომ სამთავრობო მონაცემებზე საჯარო ხელმისაწვდომობისა და გამოყენების ხელშეწყობა ხელს შეუწყობს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, კონკურენტუნარიანობას და ინოვაციებს.

3. იმდენად, რამდენადაც მხარე საზოგადოებას აწვდის სამთავრობო ინფორმაციას, მათ შორის მონაცემებს, ის ცდილობს უზრუნველყოს ამ ინფორმაციის მიწოდება ღია სამთავრობო მონაცემების სახით.

4. მხარეები შეეცდებიან ითანამშრომლონ ღია სამთავრობო მონაცემების ხელმისაწვდომობისა და გამოყენების გზების დადგენაში, რათა გაფართოვდეს და შეიქმნას საქმიანი შესაძლებლობები.

მუხლი 19.11 - თანამშრომლობა კონკურენციის სფეროში

1. იმის აღიარებით, რომ მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს გაუზიარონ საკუთარი გამოცდილება და მიიღონ სარგებელი კონკურენციის სამართლის გამოყენების, ასევე კონკურენციის პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების თაობაზე, რათა ციფრული ეკონომიკიდან გამომდინარე გადაიჭრას დამატებითი გამოწვევები, მხარეები შეეცდებიან:

(a) ერთმანეთს გაუზიარონ ინფორმაცია და საუკეთესო პრაქტიკა კონკურენციის პოლიტიკისა და კონკურენციის კანონის ეფექტური აღსრულების ღონისძიებების შესახებ ციფრულ ბაზრებზე კონკურენტული გარემოს განვითარებისა და დაცვის მიზნით; და

(b) ხელი შეუწყონ მხარეთა ციფრული ბაზრების ღიაობას, კონკურენტუნარიანობასა და ეფექტურობას.

2. მხარეები, საჭიროებისამებრ, ითანამშრომლებენ ციფრულ ბაზრებზე კონკურენციის შესახებ კანონის გამოყენებაში, მათ შორის კონსულტაციებისა და ინფორმაციის გაცვლის გზით.

3. ეს მუხლი ეხება „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ შეთანხმების მე-10 თავის „კონკურენცია“ შესაბამის დებულებებს.

მუხლი 19.12 - ელექტრონული გადახდები

1. ელექტრონული გადახდების, კერძოდ, არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტებისა და ფინანსური ტექნოლოგიების საწარმოების მიერ მოწოდებული გადახდების, განვითარების ხელშეწყობის მიზნით, მხარეები აღიარებენ ტრანსსასაზღვრო ელექტრონული გადახდების ეფექტური, დაცული და უსაფრთხო გარემოს შექმნის მნიშვნელოვნებას, მათ შორის:

(a) საერთაშორისოდ აღიარებული ელექტრონული გადახდის სტანდარტების მიღებისა და გამოყენებისთვის ხელშეწყობას;

(b) ელექტრონული გადახდის ინფრასტრუქტურის ურთიერთ თავსებადობისა და ურთიერთკავშირის ხელშეწყობას; და

(c) ელექტრონული გადახდის მომსახურების სფეროში ინოვაციებისა და კონკურენციის წახალისებას.

2. ამ მიზნებისათვის, თითოეული მხარე იღებს ვალდებულებას, რომ:

(a) დროულად გამოაქვეყნებს ელექტრონული გადახდების შესახებ საკუთარ შიდასახელმწიფოებრივ კანონმდებლობას, მათ შორის მარეგულირებელი ორგანოების ნებართვების, ლიცენზირების მოთხოვნების, პროცედურებისა და ტექნიკური სტანდარტების შესახებ, თუ ეს არ არის აკრძალული ეროვნული კანონმდებლობით;

(b) შეეცდება დროულად დაასრულოს მარეგულირებელი ორგანოების ნებართვების ან ნებართვების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები საკუთარი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად;

(c) შეეცდება მიიღოს საერთაშორისო სტანდარტები ან წახალისოს მათი დანერგვა ელექტრონული გადახდის შეტყობინებებისა და ელექტრონული მონაცემების გაცვლის მიზნით ფინანსურ ინსტიტუტებსა და მომსახურების მიწოდებლებს შორის შესაბამისი ელექტრონული გადახდის სისტემებისთვის, რათა უზრუნველყოს მეტი თავსებადობა ელექტრონული გადახდის სისტემებს შორის; და

(d) ხელს შეუწყობს ღია პლატფორმებისა და არქიტექტურების გამოყენებას, როგორცაა გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისების (APIs) საშუალებით მოწოდებული ინსტრუმენტები და პროტოკოლები და წახალისებს გადახდის მომსახურების მიწოდებლებს, რათა მათ უზრუნველყონ მათი პროდუქტებისა და მომსახურებისთვის უსაფრთხო და საიმედო გამოყენებითი პროგრამირების ინტერფეისებზე (APIs) მესამე პირების წვდომა, სადაც ეს შესაძლებელია, ხელი შეუწყონ უფრო მეტ თავსებადობას, ინოვაციას და კონკურენციას ელექტრონულ გადახდებში.

3. 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად, მხარეები აღიარებენ რეგულირების გზით ელექტრონული გადახდის სისტემების უსაფრთხოების, ეფექტურობის, ნდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის მნიშვნელოვნებას და იმას, რომ რეგულაციებისა და პოლიტიკის მიღება და გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს გადახდის მომსახურების მიწოდებლების მიერ აღებულ რისკებს.

მუხლი 19.13 - თანამშრომლობა კიბერუსაფრთხოების სფეროში

1. მხარეები იზიარებენ საერთო ხედვას უსაფრთხო ელექტრონული ვაჭრობის განვითარების თაობაზე გლობალური კეთილდღეობის მისაღწევად და აღიარებენ, რომ კიბერუსაფრთხოება ციფრული ეკონომიკის საფუძველია.

2. მხარეები ასევე აღიარებენ შემდეგი საქმიანობების მნიშვნელობას და, თავიანთი მოქმედი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო შეთანხმებების შესაბამისად, ხელს უწყობენ მათ განხორციელებას:

(a) კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტებზე რეაგირებისთვის პასუხისმგებელი მათი ეროვნული ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება;

(b) თანამშრომლობის მოქმედი მექანიზმების გამოყენება, რათა დადგინდეს და შემცირდეს კომპიუტერული უსაფრთხოების ინციდენტები და მათგან მიყენებული ზიანის მასშტაბი, რაც გავლენას ახდენს მხარეებს შორის ელექტრონულ კომერციაზე; და



(c) იმ შესაბამისი კიბერუსაფრთხოების შესახებ ინფორმაციის წინასწარი გაზიარება, რომლებიც გავლენას ახდენს მხარეებს შორის ელექტრონულ კომერციაზე.

მუხლი 19.14 - ინტერნეტზე წვდომისა და მისი გამოყენების პრინციპები ელექტრონული ვაჭრობისთვის

1. ამ მუხლის მიზნებისათვის, „საბოლოო მომხმარებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ინტერნეტზე წვდომის მომსახურების მიმწოდებლისგან ყიდულობს ან გამოიწერს ინტერნეტზე წვდომის მომსახურებას.

2. მხარეები აღიარებენ თავიანთ ტერიტორიებზე საბოლოო მომხმარებლებისთვის მინიჭებულ უპირატესობებს, რომელიც უზრუნველყოფს:

(a) ინტერნეტში ხელმისაწვდომ, მათ მიერ შერჩეულ კანონიერ მომსახურებებსა და აპლიკაციებზე წვდომასა და გამოყენებას, ქსელის გონივრული მართვის პირობებში, რომელიც არ ბლოკავს ან არ ანელებს ინტერნეტ ტრაფიკს უსამართლო კომერციული სარგებლის მისაღებად¹¹;

(b) მათ მიერ შერჩეული მოწყობილობების ინტერნეტთან დაკავშირებას, იმ პირობით, რომ ასეთი მოწყობილობები არ დააზიანებს ქსელს; და

(c) გამჭვირვალე და გასაგები ინფორმაციის ხელმისაწვდომობას ინტერნეტზე წვდომის მომსახურების მათი მიმწოდებლის ქსელის მართვის მეთოდების შესახებ.

3. მეტი სიცხადისთვის, მე-2 პუნქტში არაფერი ავალდებულებს მხარეს მიიღოს, შეცვალოს ან გაატაროს კონკრეტული ზომები ამ პუნქტში მითითებული პრინციპების განსახორციელებლად.

¹¹ ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის, მხარეები აღიარებენ, რომ ინტერნეტზე წვდომის სერვისის მიმწოდებელი, რომელიც გარკვეულ კონტენტს მხოლოდ საბოლოო მომხმარებლებს სთავაზობს, არ იმოქმედებს ამ პრინციპის საწინააღმდეგოდ.

მუხლი 19.15 - თანამშრომლობა ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში

მხარეები აღიარებენ მხარეთა ფინანსური ტექნოლოგიების ინდუსტრიებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერის მნიშვნელობას. მხარეები აღიარებენ, რომ ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში ეფექტური თანამშრომლობა ბიზნესის მონაწილეობას მოითხოვს. ამ მიზნით, მხარეები ხელს შეუწყობენ:

- (a) ბიზნესის ან ფინანსური სექტორისთვის ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში გადაწყვეტილებების მომზადებას; და
- (b) ფინანსური ტექნოლოგიების სფეროში მეწარმეთა ან ნიჭიერ დამწყებ მეწარმეთა თანამშრომლობას მხარეებს შორის შესაბამისი მხარეების შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 19.16 - თანამშრომლობა

მხარეები, აღიარებენ რა ელექტრონული ვაჭრობის გლობალურ ბუნებას, შეეცდებიან:

- (a) გაცვალონ ინფორმაცია და ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება რეგულირების, პოლიტიკის, აღსრულებისა და შესაბამისობის მექანიზმების შესახებ ელექტრონულ ვაჭრობასთან დაკავშირებით, მათ შორისაა:
 - (i) პერსონალური მონაცემების დაცვა;
 - (ii) მომხმარებელთა უფლებების დაცვა ინტერნეტში;
 - (iii) არასასურველი კომერციული ელექტრონული შეტყობინებები;
 - (iv) ელექტრონული შეტყობინებების უსაფრთხოება;
 - (v) ელექტრონული დადასტურება;
 - (vi) ტრანსსასაზღვრო ლოგისტიკური მომსახურება, მათ შორის მრავალმოდულიანი ტრანსპორტისა და ლოგისტიკის და საფოსტო სამსახურებს შორის თანამშრომლობის ჩათვლით;

(vii) ვაჭრობის ხელშეწყობა ტრანსსასაზღვრო ელექტრონული ვაჭრობისთვის, მათ შორის საბაჟო საწყობების ან თავისუფალი ზონების გამოყენება და მარეგულირებელ ორგანოებს შორის თანამშრომლობა ისეთ სფეროებში, როგორცაა მონაცემთა გაცვლა და გაფრთხილება რისკის შესახებ პროდუქტის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; და

(viii) მხარეთა მიერ შეთანხმებული ნებისმიერი სხვა სფერო;

(b) აქტიური მონაწილეობა მიიღონ რეგიონულ, მრავალმხრივ და საერთაშორისო ფორუმებში ელექტრონული ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

მუხლი 19.17 - დავების გადაწყვეტა

არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება, ამ თავის შესაბამისად წარმოშობილ ნებისმიერ საკითხზე წამოჭრილი დავა გადაწყვიტოს მე-15 თავის (დავების მოგვარების) შესაბამისად.“

